# საქართველოს იუსტიციის მინისტრის

## ბრძანება №395
## 2019 წლის 8 მაისი

## ქ. თბილისი

## მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფასებისა და გადაფასების წესის, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის წესისა და პირობების, აგრეთვე მსჯავრდებულთა საშიშროების რისკების შეფასების გუნდის საქმიანობისა და უფლებამოსილების განსაზღვრის წესის თაობაზე

პატიმრობის კოდექსის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილის, 46-ე მუხლის $4^1$ ნაწილის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და „პატიმრობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის №3128 კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს თანდართული მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფასებისა და გადაფასების, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის, გადაყვანის პირობების, აგრეთვე მსჯავრდებულთა საშიშროების რისკების შეფასების გუნდის საქმიანობისა და უფლებამოსილების განსაზღვრის წესი.
2. ამ ბრძანების მოქმედება არ ვრცელდება №11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში, №18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და №19 ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში მოთავსებულ მსჯავრდებულებზე. ამ ბრძანების მოქმედება არ ვრცელდება ასევე იმ მსჯავრდებულზე, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე მოთავსებულია ფსიქიატრიულ დაწესებულებაში არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების გაწევის მიზნით.
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფასებისა და გადაფასების წესის, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის წესისა და პირობების, აგრეთვე რისკების შეფასების გუნდის საქმიანობისა და უფლებამოსილების განსაზღვრის წესის თაობაზე“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 9 ივლისის №70 ბრძანება.
4. ეს ბრძანება, გარდა ამ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-15 მუხლის მე-7 პუნქტისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
5. ამ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-15 მუხლის მე-7 პუნქტი ამოქმედდეს 2020 წლის 1 იანვრიდან.

**საქართველოს იუსტიციის მინისტრი** **თეა წულუკიანი**